„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი ● №17-18 (9535-9536) ● 1-30 სექტემბერი ● ფასი 1 ლარი

2022 წლის 1 ოქტომბერს გაიმართება თვითმმართველი თემის – სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს შუალედური არჩევნები

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

№	ოლქის ნომერი	ოლქის დასახელება	სახელი	გვარი	თანამდებობა	ამრჩევი/დამნიშნავი
1	64	სენაკი	ცოტნე	შუშანია	კომისიის თავმჯდომარე	ცესკო
2	64	სენაკი	ვახტანგი	ჯალაღონია	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ცესკო
3	64	სენაკი	ვენერა	პირტახია	კომისიის მდივანი	ცესკო
4	64	სენაკი	ალექსანდრე	ქაჩიბაია	კომისიის წევრი	ცესკო
5	64	სენაკი	თამარი	ჭანტურია	კომისიის წევრი	ცესკო
6	64	სენაკი	დიმიტრი	ახალაშვილი	კომისიის წევრი	ცესკო
7	64	სენაკი	იაკობ	ასანიძე	კომისიის წევრი	ცესკო
8	64	სენაკი	ლევან	კაპანაძე	კომისიის წევრი	ცესკო
9	64	სენაკი	ნარგიზა	გარუჩავა	კომისიის წევრი	პ/გ «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო»
10	64	სენაკი	ლუკა	ჯამბურია	კომისიის წევრი	პ/გ «ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები»
11	64	სენაკი	გელა	თოფურია	კომისიის წევრი	პ/გ «გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი»
12	64	სენაკი	გიორგი	ხოკერაშვილი	კომისიის წევრი	პ/გ «საქართველოს ევროპელი დემოკრატები»
13	64	სენაკი	იამზე	გოგინავა	კომისიის წევრი	პ/გ «ევროპული საქართველო»
14	64	სენაკი	ანა	გუგავა	კომისიის წევრი	პ/გ «გირჩი»
15	64	სენაკი	ეკატერინე	აბშილავა	კომისიის წევრი	პ/გ «ლელო საქართველოსთვის»
16	64	სენაკი	მანანა	მურღულია	კომისიის წევრი	პ/გ «ევროპელი სოციალისტები»

№ 64.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატთა სია

მაჟორიტარული ოლქი	სახელი	გვარი	წარმდგენი
64,04	მამუკა	ტუსკაძე	,,მამუკა ტუსკაძე - სოციალური სამართლიანობისათვის''
64,04	ზაზა	ყურაშვილი	ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია

ქრონიკა

ლევან ელიავა

დაინიშნა 2022 წლის 12 სექტემბერს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ.

იგი დაიბადა 1987 წლის 11 იანვარს ქალაქ სოხუმში, 1998-2003 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის №172 საშუალო სკოლაში. 2003-2007 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით –საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.

2008-2010 წლებში მუშაობდა საბაჟო ტერმინალ ,,გაკოში". 2008 წელს აღნიშნულ საბაჟო ტერმინალში დააფუძნა სადეკლარანტო ფირმა –შპს ,,ელი 87".

2011-2017 წლებში მუშაობდა შპს ,,ელიზი ჯგუფში". 2016-2020 წლებში შპს ,,ლემონის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

მუნიციპალიტეტის მერიაში

შეხვედრა 100%-იანი გრანტის მფლობელ ახალგაზრდებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, 100%-იანი გრანტის მფლობელ წარმატებულ სენაკელ კურსდამთავრებულებს, ასევე, საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს შეხვდა.

2022 წლის ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი დაფინანსების გრანტი მოიპოვეს საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებმა: გიორგი გეგენავამ, გვანცა კუპრეიშვილმა, ტატო ალანიამ, ცოტნე ეჯიბიამ, გიგი ყურაშვილმა, თამარ ალანიამ, თამარ დადიანმა, ნინო გაბელიამ, ლიზი კოკაიამ, ანდრია ხარბედიამ, გოგა წონერიამ, დათო შონიამ, ლიზი ღვინჯილიამ, კესო ტყებუჩავამ.

მუნიციპალიტეტის მერმა, ახალგაზრდებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს, მოპოვებული წარმატებები მიულოცა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოები გადასცა.

,,წელს, სენაკში, გრანტოსანთა განსაკუთრებული სიმრავლეა, რაც გვახარებს და ხაზს უსვამს იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდების უმთავრესი ღირებულება ცოდნაა.

განათლების მიღებაზე მოტივირებული თაობა კი ქვეყნის უკეთესი მომავლის ფუნდამენტია.

თქვენს ცხოვრებაში პროფესიული განვითარების ახალი ეტაპი იწყება. წარმატებებს გისურვებთ პროფესიულ სრულყოფაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჩემი დიდი სურვილია, წლების შემდეგ, დაუბრუნდეთ მშობლიურ სენაკს და თქვენი პროფესიონალიზმი მის განვითარებას მოახმაროთ" - აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ.

ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ქართული ტრადიციული მუსიკის კონცერტი გაიმართა.

ფოლკლორული და ქალაქური სიმღერების რეპერტუარით, სენაკელი მსმენელის წინაშე წარდგნენ საზოგადოებისთვის გამორჩეულად საყვარელი ანსამბლები - ,,კოლხური ტრიო'', ,,იალონი'' და ,,მუსიკელი'' .

საღამო, რომელსაც ანსამბლ ,,იალონის'' დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ნინო ნანეიშვილი უძღვებოდა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში წარიმართა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

15 სექტემბერს დაიწყო ახალი სასწავლო წელი
გილოცავთ

მიმდინარე სასწავლო წელი სასიქადულო შემოქმედის – ნოდარ დუმბაძის წერილით გვინდა მოგილოცოთ, რომელიც წლების წინაა დაწერილი და დღესაც საოცრად თანადროულია.

„ჩემო პატარა და ძვირფასო მეგობრებო“

სკოლის ზარი ყველას ეძახის: მოსწავლესაც, მშობელსაც, პირველკლასელსაც და მეათეკლასელსაც, მაგრამ მე მაინც თქვენ მოგმართავთ, საქართველოს პატარა მოქალაქენო, სოფლის გოგონებო და ბიჭუნებო, თქვენ, რომელთაც პირველად გეძახით ზარი, პირველად გესმით ზარის ხმა და კარგად არც კი იცით, რომ იგი გიხმობთ უკეთილშობილესი საქმის სათავისკენ, ცოდნისა და სიბრძნის წყაროს სათავისკენ. ეს არ არის ჩვეულებრივი ზარის ხმა, ეს გახლავთ საუკუნეთა მანძილზე ზარში ჩაბუდებული დიდი რუსთაველის, გურამიშვილის, საბა-სულხანის ხმა... მისი გუგუნი ილიას, აკაკის, ვაჟას და იაკობ გოგებაშვილის შეწყობილი ხმებია, ეს ერის ხმაა, დედის, დედაენის ანუ სამშობლოს ძახილია.

ეს გზა დედამიწის ზურგზე ყველა ბავშვმა უნდა გაიაროს, რადგან იგი დიდი კაცობისაკენ, ერისკაცობისაკენ, სიკეთისაკენ, სათნოებისაკენ, სიყვარულისკენ და ბუნების საიდუმლოებით სავსე ჯადოსნური სკივრის ოქროს გასაღებისკენ მიმავალი გზაა. ვინც ამ აღმართს არ გაივლის და იმ ჯადოსნური სკივრის ოქროს გასაღებს არ დაეუფლება, იგი არც სამშობლოს, არც მშობლებს, არც ხალხს და არც საკ უთარ თავს არ გამოადგება.

გრძელი, ძნელი და მძიმეა ეს გზა, ძვირფასო ბავშვებო, მაგრამ ნუ გეშინიათ, ამ გრძელ და მძიმე გზაზე თქვენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მასწავლებელები გეყოლებათ მეგზურებად, ისინი არასოდეს ერთი წუთითაც არ მიგატოვებენ. საგზლად მთელი მსოფლიოს საუკეთესო მწერლებისა და მეცნიერების მიერ შექმნილი სულიერი საზრდო გექნებათ მუდამ, ხოლო თქვენი მფარველი ანგელოზი ამ გზაზე თქვენი სათაყვანებელი ერი და სამშობლო იქნება, ამიტომ თავზე უფრო შეიყვარეთ წიგნი, მასწავლებელი, მშობელი, ხალხი და სამშობლო თქვენი. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ერის მომავალი და მისი ერთადერთი იმედი.

დადგება დრო, როდესაც იმ ზარს, რომელსაც ჩვენ ვრეკავთ დღეს თქვენთვის, თქვენ თავად ჩამოჰკრავთ და ისევე მოუხმობთ ახალგაზრდობას თქვენს მიერ განვლილ ამ რთეულ და მძიმე გზაზე, როგორც ჩვენ გიხმობთ ახლა თქვენ. გახსოვდეთ, რომ მაშინ უკვე თქვენზე იქნება დამოკიდებული გლოვისა იქნება იგი ზარი თუ ბედნიერებისა.

ეს ბრძნული სიტყვებიც გახსოვდეთ მუდამ: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო. ამას კი არ გთხოვთ სამშობლო, არამედ გავალებთ. სამშობლოს დავალება კი შეუვალი, ღვთიური კანონია და მისი შეუსრულებლობა ერის ღალატია.

პირველ სექტემბერს გილოცავთ, კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ცხოვრებაში, კეთილი ზიყოს და საამო თქვენთვის ხმა ან ზარისა, რომელიც თქვენ გეძახით, ჩემო პატარა და ძვირფასო მეგობრებო!

ნოდარ დუმბაძე

გზა სკოლისაკენ

მარიამ მისაბიშვილი

მარიამი წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პირველი კლასის მოსწავლეა. ოჯახის ნებიერა 15 სექტემბერს სულმოუთქმელად ელოდა, ეჩქარებოდა მასავით ანცი, დახატული თანატოლების და მასწავლებლის გაცნობა, პირველი გაკვეთილის მოსმენა, დედაენის ჯადოსნურ სამყაროში მოხვედრა. არის გონიერი, ყურადღებიანი, გულკეთილი, მოსიყვარულე... იცის, რომ ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, ამიტომ მისი სურვილია კარგი სწავლით თავიც ისახელოს და ქვეყანაც.

ნინო გვარამია

ნინომ წარმატებით დაამთავრა წმინდა ბარბარეს სახელობის ბაგა-ბაღი. ჭკვიანი, ბეჯითი, შრომისმოყვარე გოგონაა. იცის ბევრი ლექსი და ზღაპარი. უკვე ანბანის ყველა ასო იცის და კითხვაც შეუძლია დამოუკიდებლად. უყვარს სიმღერა, ცეკვა.

ნინო წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პირველკლასელი გახდა. სექტემბრის ზარი გახდა მაცნე ახალი ეტაპის დაწყებისა ნინო გვარამიას ცხოვრებაში.

ქალიშვილს სასწავლო წლის დაწყებას ულოცავენ მშობლები ლანა ბერიშვილი და ბაჩუკი გვარამია. უსურვებენ წარმატებებს ამ მეტად რთულ და საინტერესო გზაზე.

გაბრიელ ჯოჯუა

ეს კოხტა, თვალებმახარა ბიჭი ლეძაძამეს საბავშვო ბაღის აღზრდილია. წელს პირველად შეაღო სკოლის კარები, სხვა თანატოლებთან ერთად მიუჯდა პირველი კლასის მერხს. ახალ გარემოში ადაპტაცია არ გასჭირვებია, არის ნიჭიერი, გულმოდგინე, სწავლის მოყვარული, უყვარს ხატვა, ქცევასა და გონიერებას უქებენ უფროსები. გაბრიელს ტყუპისცალი დანიელი ჰყავს, რომელიც სხვა სკოლის პირველკლასელია. ორივეს ბედნიერი ბავშობა და სრულფასოვანი სწავლ-განათლება

ლილე კვარაცხელია

ლილემ 15 სექტემბერს პირველად შეაღო კერძო საერო სკოლა ,,მარიოტის" (დირექტორი ბაია კუპრეიშვილი) კარები და პირველკლასელებთან ერთად პირველად მიუჯდა სასწავლო მერხს. ჭკვიან, დამჯერე, გულისხმიერ და ბეჯით გოგონას უხარია ცოდნის სამყაროში მოხვედრა, ქართული ანბანის შესწავლა, თანატოლების გაცნობა.

მშობლები ლიკა სერგია და დათა კვარაცხელია ულოცავენ ქალიშვილს სკოლაში წასვლას, უსურვებენ წარმატებებს და ბედნიერ მომავალს.

ყველაზე დიდი ჯილდო და ტიტული-ბავშვების სიყვარულია

დამთავრდა გამოცდები, როგორც აბიტურიენტებისათვის, ისევე პედაგოგებისათვის. სასიხარულოა ის ფაქტი რომ ძალიან გაგვახარეს ჩვენმა აბიტურიენტებმა და წარმატებით ჩააბარეს გამოცდები ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა სტუდენტს, პირველკლასელს, პედაგოგებს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას და ვუსურვებ წარმატებებს.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია პედაგოგებისთვის, რადგანაც გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთა გამოცდა პროფესიულ უნარებში პირველად ჩაატარა. განათლების სამინისტროს განმარტებით, სტატუსის ამაღლება პედაგოგებისთვის სავალდებულო არ არის და ემსახურება მხოლოდ მასწავლებლების პროფესიული წინსვლის ხელშეწყობას, რაც პირდაპირ აისახება მათ ანაზღაურებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით კვალიფიკაციის ამაღლების მსურველი პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომი იყო ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რაც მათ გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში დაეხმარა.

პირადად ჩემთვის მენტორი მასწავლებლობის გამოცდის წარმატებით ჩაბარება გარკვეული სტიმულია ვიყო პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული, ჩემი გამოცდილება და ცოდნა მაქსიმალურად გამოვიყენო ბავშვებთან ურთიერთობისას, რადგან ყველაზე დიდი ჯილდო და ტიტული მათი წარმატება და ამ წარმატებაში ჩემი მონაწილეობაა.

როგორც პედაგოგების ოჯახში დაბადებულს და გაზრდილს ყოველთვის მომწონდა მასწავლებლის პროფესია. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად დავიწყე მოსწავლეების მომზადება ინგლისურ ენაში. ჩემი პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო კერძო სკოლა ,,ალბიონში'. დირექტორმა, ქალბატონმა ლუდმილა ჭანტურიამ მომცა შანსი სრულიად გამოუცდელ ახალგაზრდას და გამიკვალა გზა ამ სფეროში. სერთიფიცირების გამოცდების ჩაბარების შემდეგ მუშაობა კოტიანეთის სკოლაში დავიწყე (დირექტორი მაია ადამია). პარალელურად ვმუშაობდი სკოლა-ლიცეუმში(დირექტორი ნანა ნორაკიძე), სადაც დიდი გამოცდილება დავაგროვე. ამჟამად ვმუშაობ ნოქალაქევისა (დირექტორი შორენა შამათავა) და კოტიანეთის საჯარო სკოლებში. ჩემთვის პედაგოგობა ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოა. ყოველ დღეს რაღაც ახლი მოაქვს, ყოველთვის არის შესაძლებელი იყო შემოქმედებითი, მიყვარს ბავშვებისათვის ჩემი ცოდნის გადაცემა, იმის დანახვა, რომ ჩემი შრომა სასარგებლოა და ბავშვებს ეხმარება. მასწავლებლის პროფესია ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. პედაგოგიკა ისეთი სფეროა პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის, რომ მუდმივად უნდა ისწავლო და გაიუმჯობესო შენი დონე. რაც უფრო მეტს ვმუშაობ, მით უფრო ვხვდები, რამდენს მინდა მივაღწიო.

ჩემთვის კიდევ ერთი გამოწვევა იყო წამყვანის სტატუსის მოპოვება. მე და ჩემი პროფესიული მეგზური, ხატია ეჯიბია, ერთად მივიკვლევდით გაუკაფავ გზას ამ მიზნისაკენ. ერთ-ერთმა პირველებმა მოვიპოვეთ წამყვანის სტატუსი, რაც ნამდვილად იყო ტიტანური შრომის შედეგი. არ იყო ადვილი აქამდე მოსვლა. ჩემი დღევანდელი წარმატება ჩემს ოჯახთან ერთად იმ ადამიანების დამსახურებაა, ვინც მენდო და რეალიზების საშუალება მომცა.

მაია კანკავა,
მენტორი მასწავლებელი

მუნიციპალიტეტის სკოლებში სასწავლო პროცესი განახლდა

სენაკის მუნიციპალიტეტის 20 საჯარო და 6 კერძო სკოლაში სასწავლო პროცესი განახლდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, გენო ადამიას სახელობის პირველ, ჟიული შარტავას სახელობის მეორე, მესამე, მეშვიდე, თეკლათის, ძველი სენაკისა და კოტიანეთის საჯარო სკოლებში, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში, სკოლა ,,მარიოტასა" და სკოლა-ლიცეუმში გამართულ ღონისძიებებს დაესწრნენ; მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში, საფორტეპიანო, საესტრადო, ფოლკლორული, გიტარისა და ვიოლინოს განყოფილებების მოსწავლეთა მონაწილეობით გამართული კონცერტით და სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენით დასრულდა.

წელს, სკოლის კარები პირველად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 365-მა პირველკლასელმა შეაღო, რომელთაც ნეთბუქები გადაეცათ.

საჯარო სკოლების ყველა მოსწავლე სასწავლო სახელმძღვანელოების სრულ პაკეტს მიიღებს.

საჯარო სკოლების 20 მოსწავლეს, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ტრანსპორტი მოემსახურება.

სასწავლო პროცესს მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები განახლებული ინფრასტრუქტურული გარემოთი შეხვდნენ.

თითქმის ყველა სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

კოტიანეთის საჯარო სკოლაში განხორციელდა გათბობის სისტემის სარებილიტაციო სამუშაოები;

თეკლათის საჯარო სკოლაში სრულად გამოიცვალა ელექტროგაყვანილობის ქსელი.

დაწყებულია ნოსირის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და განახლების პროცესი უწყვეტად გრძელდება.

უახლოეს პერიოდში იგეგმება მესამე საჯარო სკოლის მშენებლობა; ქალაქის პირველი და ძველი სენაკის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.

„განახლებული რეგიონების" ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე არსებული ცენტრალური პარკის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც მოიცავს ფასადების რეაბილიტაციას, რეკრეაციული და დასასვენებელი სივრცეების მოწყობას.

პროექტის ფარგლებში, ამ დროისთვის, დასრულებულია რუსთაველის ქუჩაზე არსებული ცენტრალური სკვერის მოწყობა-რეაბილიტიციის პირველი ეტაპი.

სენაკის მუნიციპალიტეტს, ამ მასშტაბური პროექტის განხორციელებით, ორი განახლებული, მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცე შეემატება, რომელიც როგორც ახალგაზრდების, ისე უფროსი თაობისათვის, განტვირთვის, გართობის და დასვენების ადგილი იქნება.

„განახლებული რეგიონების" 4 წლიანი პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროგრამის დასრულების შემდეგ, ქვეყნის რეგიონებში განახლდება ცენტრალური ქუჩები, რეაბილიტირდება და მოეწყობა ახალი სკვერები და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა.

მასშტაბური სამელიორაციო სამუშაოები

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრი, საბა ოდიშარია, საქართველოს მელიორაციის დასავლეთის რეგიონალური სამსახურის უფროსი, თემურ გაბელაია და საქართველოს მელიორაციის სერვისცენტრის უფროსი სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში, მამუკა გვასალია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოებს გაეცნენ.

გოლასკურის უბანში, მასშტაბური სამელიორაციო პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს 3, 5 კმ კოლექტორული არხის ამოწმენდის პროცესი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებსა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს მოემსახურება.

ასევე, ზემო ჭალადიდში განხორციელდა 13 კმ-იანი სამელიორაციო არხის ამოწმენდითი სამუშაოები, რომელიც 165 ჰა ფართობს მოემსახურება.

სამუშაოები შპს ,,საქართველოს მელიორაციის" დაფინანსებით ხორციელდება.

წარმატებული ძიუდოისტი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, წარმატებულ სენაკელ ძიუდოისტ გოგონას, ანანო კინწურაშვილს და მწვრთნელს, უჩა ჯღარკავას შეხვდა.

სენაკელმა სპორტსმენმა, თურქეთში, ქალაქ საკარაიაში გამართულ ძიუდოს საერთაშორისო ტურნირზე, მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ სპორტსმენი, ტურნირში გამგზავრების წინ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფინანსდა.

სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეს, ანანო კინწურაშვილს, მიმდინარე წელს, არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული, არის საქართველოს 2022 წლის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში; ასევე ტრაპიზონში გამართული ოლიმპიური ჩემპიონის, ჰუსეინ ოზკანის სახელობისა და თურქეთის ქალაქ ქოჯაელში გამართული საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და ბრინჯაოს პრიზიორი.

მუნიციპალიტეტის მერმა წარმატებულ სპორტსმენს მორიგი გამარჯვება მიულოცა და შემდგომი წინსვლა უსურვა.

სამუშაო შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ლევან ელიავამ, სამუშაო დღე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურების ხელმძღვანელებთან და სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრით დაიწყო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ახალგაზრდობის, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებს, არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს.

მერის მოადგილის პოსტს ლევან ელიავა 12 სექტემბრიდან იკავებს და ის მუნიციპალიტეტის მერიაში კურატორობას გაუწევს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანდაცვის, სოციალურ, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სფეროებს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯის" ექიმ-ოფთალმოლოგებმა, მოსახლეობისთვის უფასო გამოკვლევები ჩაატარეს.

სამედიცინო აქციის მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსთან, ნატალია ხუბუასთან ერთად გაეცნო.

ახალი - სენაკის დაარსებიდან 165 წელი შესრულდა

ახალი-სენაკის დაარსებაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ამან გადამაწყვეტინა ჩამეტარებინა კვლევა და დამედგინა სინამდვილე. მაქვს პატივი ჩვენი ქალაქის დაარსების კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნა გავაცნო წარსულით დაინტერესებულ მკითხველს.

ახალი სენაკის დაარსებას უკავშირებენ რკინიგზის სადგურის გახსნას, რაც არა სწორია. არც ის არის სწორი, რომ თავდაპირველად შეიქმნა ახალი-სენაკის მაზრა.

ფაქტების მოშველიებით განვიხილოთ ეს საკითხი.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფო გაუქმდა (1810წ), გურიის სამთავრო (1827 წ), ჯერი სამეგრელოს სამთავროს გაუქმებაზე მიდგა, მაგრამ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე გავლენიანი იყო, პირადად იცნობდა რუსეთის იმპერატორს, ამიტომ სამთავროს გაუქმება გარკვეული დროით გადაიდო. თუმცა ცარიზმი ეძებდა გზებს მოეცილებინა მართველობისთვის დადიანები. გაჩნდა ამის მიზეზი, როცა მე- 19 საუკუნის შუა პერიოდში, გამწვავდა ურთიერთობა სამეგრელოს სამთავროს ხელისუფალსა და გლეხთა შორის (უტუ მიქავას აჯანყება 1856-57 წ.წ). აჯანყებით ისარგებლა რუსეთის ცარიზმმა და სამეგრელოს სამთავროში შემოიყვანა რუს- კაზაკები და სამთავრო დაყო სამ ნაწილად: ზუგდიდის, ახალ- სენაკისა და ლეჩხუმის ოლქებად.

ოლქები დაექვემდებარა ქუთაისის გუბერნიას. ზუგდიდში დაინიშნა რაფიელ ერისთავი, ახალ - სენაკში კორნელი ბოროზდინი, ხოლო ლეჩხუმში კონსტანტინე მიქელაძე.

ზუგდიდის ოლქის უფროსი რაფიელ ერისთავი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. სახელოვანი პოეტი, რომელსაც ეკუთვნის ათობით ლექსი. ახალი-სენაკის ოლქის უფროსი კორნელი ბოროზდინი განათლებული, ნიჭიერი მოხელე გახლდათ, რომელიც ორ წელზე მეტი, რუსულ ენასა და წერა- კითხვას ასწავლიდა ეკატერინე ჭავჭავაძე- დადიანის შვილებს. ყავდა ქართველი მეუღლე.

კორნელი ბოროზდინმა დაგვიტოვა უნიკალური წიგნი, ისტორიული მემუარები ,,სამეგრელო", რომელიც თარგმნა თედო სახოკიამ და გამოვიდა ნიკოლო მიწიშვილის რედაქტორობით. სწორედ ამ მემუარებში აღწერს ბოროზდინი ახალ -სენაკში მისი დანიშვნისა და მსახურების დაწყებას. რაც პირველი წყაროა და უტყუარი მასალა. მოვიპოვე ასევე მაშინ შექმნილი რუსული გერბის ასლი, სადაც გამოსახულია კოლხური ვერძი, აბრეშუმის ჭია, სიმინდი და ყურძენი. შეხედეთ როგორ წერია: ново- сенаки ანუ ტირეთაა (-) გამოყოფილი იწერებოდა ასე: ახალი - სენაკი.

ვნახოთ, რას წერს ბოროზდინი თავის წიგნის 132 გვერდზე. „კოლუბიაკინმა (ეს ქუთაისის გუბერნატორია) სამეგრელოში ოლქის უფროსის ადგილი შემომთავაზა. დურკლიასის შტატების თანახმად სამეგრელო გაყოფილი იყო სამ ოლქად: ზუგდიდისა, სენაკისა და ლეჩხუმისად. პირველ ოლქში დაინიშნა თავადი რაფიელ ერისთავი (ეს არის ზუგდიდი), მეორეში მე- ანუ ახალი-სენაკში და მესამეში თავადი კონსტანტინე მიქელაძე. ყოველივე მეტად სწრაფად მოხდა, რადგან სამეგრელო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო და საქმის გადადება არშეიძლებოდა. ენკენისთვის დამდეგს სამივენი ჩვენ- ჩვენ ალაგს ვიყავით ".

დაინიშნენ არა მაზრის უფროსებად, როგორც ხშირად არასწორად ამბობენ და წერენ. არამედ ოლქის უფროსებად .მათი დანიშვნა მოხდა(ბრძანების დაწერის მიხედვით) აგვისტოს ბოლოს. ხოლო სექტემბრის დასაწყისში ანუ (ენკენის თვეში როგორც ბოროზდინი აცხადებს) ისინი უკვე თავთავიანთ ადგილებზე მივიდნენ.

წიგნის ავტორს არანაირი საფუძველი და დაინტერესება არ ჰქონდა თარიღები გადაეკეთებინა და მოგონილი დაეწერა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ოლქის უფროსების დანიშვნის თარიღი სწორია და ეჭვმიუტანელი.

ახლა დავადგინოთ, რომელ წელს მოხდა ოლქის უფროსების დანიშვნა?

1855 წელს აფხაზეთს შემოესია თურქეთის არმია ომერ ფაშას სარდლობით. ეს ისტორიულად ცნობილი ფაქტია. მან დაიკავა ჯერ აფხაზეთი ,შემდგომ შეიერ ფაშამ საწადელს ვერ მიაღწია. დედოფალი ვერ დაარწმუნა, ვერ შემოირიგა.



სენაკის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი"

1856 წელის დასაწყისში თურქებმა ომი გააჩაღეს ყირიმში. ომერ ფაშამ მიიღო დავალება თავისი არმია ყირიმში გადაეყვანა. აიყარა და წავიდა.

რატომ დამჭირდა ამ ფაქტის მოტანა? იმიტომ რომ კორნელი ბოროზდინი წერს, რომ ჩემი ოლქის უფროსად დანიშვნის „პირველ ხანებში მე ვერ დავბინავდი ჩემს რეზიდენციაში დაბა ახალ -სენაკში. (მიაქციეთ ყურადღება გამოკვეთილად უთითებს დაბა ახალ-სენაკს.) რადგან საოლქო სამმართველოსთვის სახლი ჯერ არ იყო აშენებული, ამიტომ სოფელ თეკლათში ვიშოვნე ბინა, თავად ივანე მხეიძესთან, რომელსაც აქ დიდი ხის სახლი ედგა. ასეთი სახლი იმ ხანებში იშვიათი იყო. ...ერთი წლის წინათ ამავე სახლში კინტირიას ომერ ფაშა ეყენა" (გვერდი 232)

ე. ი. თუ ომერ ფაშამ სამეგრელო 1856 წლის დასაწყისში დატოვა და იმავე სახლში ერთი წლის შემდეგ სენაკის ოლქის ახლად დანიშნული უფროსი ბოროზდინი ჩასახლდა, გამოდის რომ რუსმა გუბერნატორმა კოლუბლიაკინმა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოლქები შექმნა 1857 წელს და როგორც კორნელი ბოროზდინი აცხადებს, ისინი ენკენის(ანუ სექტემბრის) დასაწყისში თავ- თავიანთს ადგილებზე ჩავიდნენ.

მომდევნო ფაქტი, რომელიც ამყარებს ჩემს მტკიცებას, რომ სენაკის ოლქი 1857 წელს დაარსდა, გახლავთ შემდეგი: რაფიელ ერისთავის ბიოგრაფიაში ზუგდიდის ოლქში დანიშვნის თარიღად მითითებული 1857 წელი.



მატარებელი, რომელიც პირველად შემოვიდა ახალი სენაკის სადგურში

მოვიდა სამეგრელოში. ქართულმა და რუსულმა არმიამ ვერ შეაჩერა მტერი. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე- დადიანისა (მინგრელსკად წოდებული) გაიქცა ზუგდიდიდან, ჩამოვიდა ქვაშიხორში ანუ (ქუაშ- ოხორუში). ეს ჩვენი შხეფია და აქ მარიამის (მენიკი) დადიანის სასახლეში იმალებოდა. ომერ ფაშა თხოვნის წერილებს უგზავნის დედოფალს და სთხოვს ზუგდიდში დაბრუნებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. სამეგრელოს დედოფალი თურქი სარდლისაგან მიღებულ ყოველ წერილს რუს გენერლებს უგზავნის, რომ რჩევა მიიღოს. რუსები ურჩევენ ეკატერინემ პასუხისაგან თავი შეიკავოს. ომერ ფაშამ დედოფლის ადგილსამყოფელი რომ გაიგო, წამოვიდა ზუგდიდიდან და თეკლათში (დღევანდელ მენჯი) თავად ივანე მხეიძის სახლში დაბინავდა. ანუ დროებით დასახლდა. ივანეს მეტსახელად „კინტირიას" ეძახდნენ. თურქ სარდალს სურდა თეკლათიდან ეწარმოებინა მოლაპარაკება სამეგრელოს დედოფალთან, მაგრამ ეკატერინემ საშიშროება იგრძნო და შვილებიანად საზაფხულო რეზიდენცია ,,გორდში" გადასახლდა.

ესე იგი, ახალი- სენაკი დაარსდა (ანუ ქუთაისის გუბერნიაში ბრძანება დაიწერა)1857 წლის აგვისტოს ბოლოს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ კორნელი ბოროზდინი მართლაც ჩამოვიდა სამეგრელოში 1854 წელს, მაგრამ პედაგოგის ამპლუაში. კერძოდ, ზუგდიდში, (მთავრინა) ეკატერინე ჭავჭავაძე -დადიანის შვილების აღმზრდელად", ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ასრულებდა ორი წელზე ცოტა მეტი.

ამ საკითხსაც მოეფინა ნათელი.

ოლქის უფროსების ჩამოსვლას სამეგრელოში წინ უსწრებდა გლეხთა აჯანყება უტუ მიქავას ხელმძღვანელობით. კორნელი ბოროზდინი და რაფიელ ერისთავი აქტიურად მონაწილეობენ მოდავე მხარების მორიგებაში. უტუ მიქავა და მისი მომხრეები 1858 წლის იანვარში გაასამართლეს. ეს ცნობილი ფაქტია, ცნობილია ისიც, რომ ზუგდიდისა და ახალი-სენაკის ოლქის უფროსები აჯანყებულთა დაშოშმინებაში აქტიურად მონაწილეობენ. ეს უთუოდ მიანიშნებს იმაზე, რომ ოლქის უფროსები 1857 წელს დაინიშნენ.

აი. რას წერს კორნელი ბოროზდინი ახალი ადმინისტრაციული სახლის აგების თაობაზე. გვ. 240.

,,ქვაშიხორს იქეთ, ერთ ვერსზე დაბა ახალ-სენაკი იყო, ჩემი მომავალი რეზიდენცია, სადაც სახლს ვაშენებდი საოლქო მმართველობისთვის. აქ ვაშენებდი აგრეთვე სატუსაღოსა და ყაზახ- რუსების სადგომ ყაზარმებს. სენაკში ბაზარი იყო, რამდენსამე რიგად ხის დუქნები ჰქონდათ ჩამორიგებული და კარგი ვაჭრობაც იყო გაჩაღებული. ყოველ პარასკევს ყველა მხრიდან მოდიოდნენ სოფლელნი თავიანთი ნაწარმოების გასასყიდად. წელიწადში რამდენიმე ბაზრობა იმართებოდა ხოლმე."

გავრცელებული მოსაზრებაა, რომ ახალი სენაკი დაარსდა მატარებლის ლიანდაგის გაყვანის შემდგომ, მცდარია.

პირველი ავტომობილი 1908 წელს ვარლამ გვათუამ ჩამოიყანა სენაკში

გავარკვიოთ კიდევ ერთი საკითხი.

კორნელი ბოროზდინი თავისი წიგნის სათაურში უთითებს თარიღებს ,, სამეგრელო 1854- 1861". იბადება კითხვა თუ კორნელი ბოროზდინი ოლქის უფროსად დაინიშნა 1857 წელს, რატომ უთითებს 1854 წელს?

მატარებელი ახალ- სენაკის სადგურში 1871 წელს შემოვიდა. ანუ ოლქის ჩამოყალიბებიდან 14 წლის შემდგომ. რამაც დიდი როლი შეასრულა ტერიტორიის გაფართოებისა და მოსახლეობის გაზრდის საქმეში.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

ახალი - სენაკის დაარსებიდან 165 წელი შესრულდა

(დასასრული)

ვიმსჯელოთ როდის გახდა ახალი- სენაკი სამაზრო ცენტრი ?

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა შვილებითურთ იძულებით გაიწვიეს პეტერბურგში. რასაც მოყვა სამეგრელოს სამთავროს გაუქმება. იგი შეუერთდა ქუთაისის გუბერნიას. ეს მოხდა 1867 წელს, რის შემდეგ ხელახლა განხორციელდა ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა და შეიქმნა, ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრები. ანუ ოლქის ჩამოყალიბებიდან ათი წლის გასვლის შემდგომ შეიქმნა მაზრები და მან იარსება 1935 წლამდე.

მკვლევართა ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ჯ. ბოროზდინი ადმინისტრაციული სახლს, სატუსაღოს და ყაზარმებს თითქოს დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე კი არა აშენებდა, არამედ ძველი სენაკის ტერიტორიაზე. რაც არა სწორია.

დიდი ხანი ვიზრდებოდი ბებია- ბაბუასთან ძველ-სენაკში. ჩემი წინაპრებიდან ბაბუა- დაბადებული იყო 1892 წელს და არასოდეს მახსოვს ეთქვას ოლქის ან მაზრის ადმინისტრაციული შენობა, სატუსაღო და ყაზარმები ჩვენთან არსებობდაო. არც სხვებისაგან მსმენია ამგვარი რამ. თანაც სოფელში არ არსებობს ადმინისტრაციული შენობისა და არც კაზაკ- რუსების ყაზარმების ნანგრევები.

ხშირად სვამენ კითხვას ,რატომ აირჩია ქუთაისის გუბერნიის მესვეურებმა მეჩხერად დასახლებული და ლელე- ჭონჭყროტიანი ადგილი ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად?

ცხადია, სენაკს მთა-გორაკიანი მდებარეობა უჭირავს. მაშინ მოსახლეობა ძირითადად მთის ფერდობზე ცხოვრობდა. ღელე ,, ფიცუს " ხშირად ადიდების გამო, ვაკე მართლაც იყო სველი და ჭაობიანი, მაგრამ გეოგრაფიულად სტრატეგიულმა მდებარეობამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ახალი- სენაკი მდებარეობს გზაჯვარედინზე: ფოთი, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს გზების გასაყარზე.

ახალი- სენაკი, როგორც სამაზრო ადმინისტრაციის ცენტრი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ არსებობდა 1867 წლიდან 1935 წლამდე. ხელთ მაქვს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ჟღენტი. დადგენილება ხელმოწერილია 1935 წლის 17 ივნისს სადაც წერია რომ „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს."

,,სენაკის ეწოდოს მიხა ცხაკაიას რაიონი. ქალაქ სენაკს- მიხა ცხაკაია. ხოლო სენაკის რკინის გზის სადგურს- სადგური მიხა ცხაკაია."

რაიონი და ქალაქი ,,მიხა ცხაკაიას" სახელს ატარებდა ორი ათეული წელი. შემდეგ „მიხა" მოაშორეს და დარჩა ცხაკაიას რაიონი და ქალაქი ცხაკაია. მხოლოდ რკინიგზის სადგურს დიდი ხანი დაურჩა სახელწოდება ,,მიხა ცხაკაია "

რაიონსა და ქალაქს ,ტრადიციული, ძველი სახელწოდება ,,სენაკი " აღუდგა 1989 წელს. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ; სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. დგებუაძე და აღმასკომის მდივანი მ. ჩაჩავა. ადგილობრივი გადაწყვეტილებით ისინი სთხოვენ საქ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს გადაწყვეტილების დამტკიცებას. რაც მალევე შესრულდა.

როდის მიენიჭა ახალ-სენაკს ქალაქის სტატუსი ?

მიენიჭა 1921 წელს (სამტრედიასა და ზესტაფონთან ერთად) მაქვს მეზობელი რაიონიდან ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი ამის შესახებ. მანამდე (1857 წლიდან, 1921 წლამდე) ითვლებოდა დაბად.

„ქალაქის სტატუსის" მინიჭებიდან უკვე შეუსრულდა 100 წელი. ხოლო ახალი-სენაკის დაარსებიდან 165 წელი.

ბორის დავითაია

რედაქციისგან: ბატონი ბორისი მეტად სენსიტურ თემას ეხება ველით გამოხმაურებებს აღნიშნულ საკითხზე, რაც მეტი იქნება აზრი, პოზიცია, შეხედულება, ვერსია, ვფქრობთ მით მეტად გამყარდება ჭეშმარიტება.

„იმ ჩუმთა მუშაკთა უჩინო ღვაწლი"

თერძნი გუშინ და დღეს

გასულ ნომერში ვწერდით, რომ ვიწყებდით საინტერესო ხელობის ადამიანთა წარმოჩენას, დღეს თერძებზე შევჩერდებით, რომლებიც საზოგადოებისათვის საჭირო საქმიანობით არიან დაკავებულნი და ჩუმად, ფუტკარივით შრომობენ. გამომუშავებული თანხით არჩენენ ოჯახს და სხვებსაც რგებენ თავიანთი პროფესიონალიზმით.

ამჯერად გაგაცნობთ პიროვნებებს, რომლებიც ადამიანების ჩაცმულობაზე, მათ ელეგანტურ სამოსზე ზრუნავენ. ძველთაგან ჩვენში მკერავს თერძს ეძახდნენ.

„სიტყვა თერძი სპარსული ენიდან დარზი, თარზი, თურქულში შევიდა როგორც თერზი, ხოლო ქართულში თერძი. თუმცა ქართულში დღეს იშვიათად თუ ვინმე იყენებს სიტყვა თერძს მკერავის მნიშვნელობით. მზა ტანსაცმლის ინდუსტრიამ ჯერ სამკერვალო ატელიეები, შემდეგ კი ამ პროფესიის მიმდევართა რიცხვი შეამცირა. ადვილი შესამჩნევია ნელ-ნელა როგორ მცირდება პატარა სახელოსნო-სამკერვალოების რაოდენობა და სახელოსნოებთან ერთად იკარგება მკერავებთან გაბმული საუბრების ლაზათი, რომელიც მთელი დღის დადებით მუხტად ღირდა"- (მარიამ გაფრინდაშვილი).

კერვა ნიჭს და გულისყურს მოითხოვს, რაც არ უნდა მოინდომო, თუ მისწრაფება არ გაქვს ხელიდან არაფერი გამოგივა, ამიტომ რჩეულებს ყოველთვის ბევრი კლიენტი ჰყავდა. ასეთთა შორისაა არდევან და მადონა გვასალიები, ემზარ ჯღარკავა, ახალგაზრდა ნინო ვაშაკიძე და ა.შ.

არდევან გვასალია წარმოშობით ქვალონიდანაა, მაგრამ ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრია, იგი უფროსი თაობის წარმომადგენელია, დინჯი, აუჩქარებელი ადამიანის იმიჯი აქვს. საოცრად კეთილი და განათლებული პიროვნება. რვა ათეული წელია სენაკშია და ეწევა მკერავის რთულ და შრომატევად საქმიანობას. 62 წლის შრომითი საქმიანობის სტაჟი აქვს, გამომჭრელ-მოდელიორთა უმაღლესი სკოლა აქვს დამთავრებული და მთელი თავის შეგნებული ცხოვრება ამ პროფილით მუშაობდა. თავიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში დაიწყო მუშაობა, შემდეგ დრო შეიცვალა და დამოუკიდებლად განაგრძო საქმიანობა. მას ყოველთვის თავისი ერთგული კლიენტები ჰყავდა, გემოვნებიანი და ტრადიციული სულისკვეთების ადამიანები. ეროვნულ სამოსსაც კერავდა, არაერთისთვის მოურგია მას ჩოხა ტანზე. არდევანის მეუღლე **მადონაც** მკერავია, მისი შრომითი საქმიანობა ხუთ ათეულს ითვლის. ისინი ერთად წლებია მოდიან და ერთ საქმეს ემსახურებიან. ოჯახური გარემოა მის სამკერვალოში. ჰყავთ 2 შვილი და ტყუპი შვილიშვილები. არდევანი და მადონა გვასალიები ნაამაგარი, დამსახურებული პირები არიან, ჯანის სიმრთელეს და დღეგრძელობას ვუსურვებთ მათ.

ემზარი ჯღარკავა ადრეული ასაკიდანაა ამ ხელობით დაკავებული. მშობლებს ურჩევიათ აღნიშნული პროფესიის შესწავლა და სენაკში ცნობილი მკერავის სოლომონ ზარქუასთვის მიუბარებიათ. მოკლე დროში აუთვისებია ხელობა და დამოუკიდებლად დაუწყია მუშაობა. მაშინ ატელიეები საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები იყო, ჩვენ ჩვენი გეგმა გვქონდა შესასრულებელი, ჯამაგირს კი სახელმწიფო გვიხდიდა. ვშრომობდით და შედეგიც გვქონდა – გვითხრა მან. ამჟამად საკუთარი ფართი აქვს, მაგრამ რად გინდა, კლიენტები მხოლოდ მზა პროდუქციის გადაკეთებით არიან დაინტერესებულნი, შეკერვით არავინ იკერავს. „მე კი მთელი ცხოვრება ძაფსა და ნემსს ჩავჩერებივარო"-. აღნიშნავს ღიმილით. ამ ძაფითა და ნემსით ვინ იცის რამდენი შერვალ-კოსტუმი შეუკერავს, რამდენისთვის კოხტად მოურგია ტანსაცმელი. გემოვნებიანი კლიენტები არასოდეს კლებია. კლიენტების კმაყოფილება და მოწონება მისი შრომის სტიმული ყოფილა ყოველთვის. ამიტომაც შერჩენია ამ საქმეს 55 წელის მანძილზე.

ჰყავს ორი შვილი და 2 შვილიშვილი. სიცოცხლეს შვილიშვილები მიხალისებენ, ისინია ჩემი სიხარულიო. ღმერთმა გამრავლოთ.

ნინო ვაშაკიძე ახალგაზრდა ქალბატონია, საინტერესო ბიოგრაფიით. დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკა-ინფორმაციის დამუშავება-მართვის ფაკულტეტი სისტემო-ტექნიკოსის კვალიფიკაციით (2001-2006წ.წ.), მიუხედაად ასეთი საჭირო, მოთხოვნადი პროფესიისა, იგი დღეს კერვითაა დაკავებული.

ბავშვობიდან მიყვარდა ქსოვა, კერვაო – გვითხრა. ამიტომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისში NGG –ის სამთვიანი ფასიანი კურსების გავლით მკერავ-კონსტრუქტორის სპეციალობას

დაეუფლა. 2017 წელს თბილისში კომპანია room dising gallery –ში, რომელიც სახლის ინტერიერის დიზაინზე მუშაობდა, ხელშეკრულებით დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ ვაკეში ტანსაცმლის საბავშვო მაღაზიას ხსნის, ცოტა ხანში ფარდების იტალიურ მაღაზია ტესატში გადადის. მალე საზღვრგარეთ გადაწყვეტს გამგზავრებას და პოლონეთში ჯერ სასტუმროში, შემდეგ კი ბრინჰაუზის ტექსტილის ქარხანაში მკერავად იწყებს მუშაობას. მამის ავადმყოფობის გამო იძულებული ხდება დაბრუნდეს შინ. ამჟამად იჯარით აღებულ ფართში რუსთაველის ქუჩაზე გახსნილი აქვს სამკერვალო „დიზაინ-სამყარო". როგორც ხედავთ დაუღლელი. მოუსვენარი, მუდამ ძიებაში მყოფი ქალბატონია ჩვენი რესპონდენტი, ხალისიანი განწყობით, ტკბილი ენით, მოციმციმე თვალებითა და ღიმილით ადვილად იპყრობს კლიენტთა გულებს. მუშაობს ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის შეკერვა-გადაკეთებაზე, იღებს კორპორაციულ შეკვეთებს? ასეთი შრომისმოყვარე კერ კიდევ დაუოჯახებელია.

- არ მიყვარს უქმად ყოფნა, რაღაცა უნდა ვაკეთო, კერვა კი ჩემი გატაცებაა და ამჟამად აქ ვარო.

მომავალში ვინ იცის რა მიმართულებით გააგრძელებს გზას, რას მოიფიქრებს, მანადე იმ საქმეში ვუსურვებთ წარმატებას, რაშიც უშურველად იხარჯება.

ნინო სართანია

გზა დაგელოცოთ!

მიმდინარე წელი უამრავი აბიტურიენტისა და მათი ოჯახებისათვის გახდა ნატვრის, ოცნების ახდენის, სიხარულისა და ბედნიერების თვე. რადგანაც მათ წარმატებით გადალახეს ბარიერი და გახდნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ზოგიერთმა მათგანმა კი უფრო მეტად იმარჯვა, უკეთ წარმოაჩინა საკუთარი თავი, უფრო სრულყოფილი ცოდნის გამომჟღავნება შეძლო და შესატყვისი შეფასებებიც დაიმსახურეს. დღეს ზოგიერთ მათგანს წარმოგიდგენთ. ვულოცავთ მათ ამ მიღწევებს და ვუსურვებთ ცხოვრების გზაზე ყველა დაბრკოლების გადალახვას.

ცოტნე ეჯიბია -1 საჯარო სკოლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლიზი კოკაია- კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი



ტატო ალანია-კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი

თაკო დადიანი - სენაკის კერძო სკოლა ლიცეუმი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტი

დათო შონია – კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", აიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია, მექანიკის ინჟინერია, მშენებელი.

კესო ტყებუჩავა წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია, საქ. უნივერსიტეტი, სტრატეგიული კომუნიკაციები.



გიგი ყურაშვილი - № 7 საჯარო სკოლა, შპს თბ. თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი



თამარ ალანია -სენაკის მეორე საჯარო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიოლოგიის ფაკულტეტი.



გიორგი გეგენავა - წმ ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია, სსიპ თბ. სახ.სამ. უნივ-, დიპლომირებული მედიკოსი



ნინო გაბელია სპს საერო სკოლა "მაია მზარელუა", ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული ფილოლოგია

გოგა წოწერია -კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დიპლომირებული მედიკოსი

ლიზი ღვინჯილია, კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა" ივ. ჯავახიშვილის სახ.სახ. უნივ-ტი, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი.

ანდრია ხარბედია - კერძო საერო სკოლა „მარიოტა", ბიზნესისა და ტექნ.უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

გვანცა კუპრეიშვილი - სპს საერო სკოლა „მაია მზარელუა", ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართული ფილოლოგია



ნინი ყურაშვილი - კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტი", კომპიუტერული მეცნიერება.

ანრი სიჭინავა - კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", შპს კავკასიის უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)

ნინი ხაბურზანია - კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,



ანი გნოლიძე -№7 საჯარო სკოლა, სსიპ ილიას სახ.უნ. საერთ. ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა);

მარიამ გაბელია კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი

გიორგი გაბელია - კერძო საერო სკოლა ,,მარიოტა", ივ.ჯავახიშვილის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეგიონის სავიზიტო ბარათი

საქართველო კულტურული და ისტორიული ძეგლებით, ეგზოტიკური სანახაობებით მდიდარია. ვისაც არ რგებია პატივი შავი ზღვის სანაპიროზე, შეკვეთილში ტურიზმის მიზიდულობის ახალი გასართობ-მოსასვენებელი ზონების ხილვისა, დღეს გექნებათ შანსი ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფოტო კოლაჟით ისიამოვნოთ და გაიმდიდროთ თვალსაწიერი. დენდროლოგიური პარკი, ბლექსი არენა, მუსიკოსებისა და მინიატურების პარკები, ციცინათელა, სასტუმრო პარაგრაფი – ეს ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს“ მიერ განხორციელებული პროექტებია.

გთავაზობთ თითოეული რეკრეაციული ზონის მოკლე აღწერა-დახასიათებას.





„სოციალური სივრცე“

სოციალური სივრცე შეკვეთილის ტერიტორიაზე მისი მრავალფეროვანი ღონისძიებებითა და ულამაზესი სივრცეებით კიდევ უფრო შთამაგონებელსა და დასამახსოვრებელს ხდის დამთვალიერებელთათვის.

წლების განმავლობაში ქვეყნის ეს ნაწილი თითქოს უსიცოცხლოდ ცხოვრობდა და მსგავსი კულტურულ-გასართობი სივრცე და დატვირთვა ნაკლებად გააჩნდა.

ამ უნიკალური ადგილის მიზანია ადამიანები ერთი მიზნის გარშემო გაერთიანოს, რაც ცოდნისა თუ გამოცდილების გაზიარებით გარემოსა და ერთმანეთზე ზრუნვას გულისხმობს. გარემო, ჰაერი, საკვები, აქტივობები – სოციალურ სივრცეში, ამ ყველაფრის იდეალური ნაზავია ადამიანის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისთვის.

„მინიატურების პარკი“

მინიატურების პარკში საქართველოს 44 არქიტექტურული ძეგლის მინიატურაა წარმოდგენილი. პარკი კეთილმოწყობილია, სიმწვანე, ბაღები და ბილიკები ძალიან სასიამოვნო და კომფორტულ გარემოს ქმნის დამთვალიერებელთათვის. აქ ერთ სივრცეში გაეცნობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მდებარე კულტურულ ძეგლებს. მინიატურების ქალაქში ნახავთ მცხეთის ჯვარს, სვეტიცხოველს, სვანურ კოშკებს, ალავერდს, ძველ თბილისს, ბაგრატს, ნიკორწმინდას და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლის მინიატურულ მოდელს. თითოეული მოდელის შექმნისას გათვალისწინებულია გარემო და ლანდშაფტი, სადაც კონკრეტული ძეგლი მდებარეობს. ეს პარკი, გარდა იმისა, რომ საინტერესო სანახაობას წარმოადგენს, ხელს უწყობს ფართო საზოგადოებისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას და ზრდის ინტერესს ჩვენი ქვეყნის უძველესი ხუროთმოძღვრებისადმი. მინიატურების პარკი შეკვეთილის ერთ-ერთი პოპულარული ღირსშესანიშნავობაა და უამრავ ადგილობრივს თუ ტურისტს იზიდავს.

„ბლექ სი არენა“

„ბლექ სი არენა“ საქართველოში ყველაზე დიდი საკონცერტო არენა და მულტიფუნქციური სივრცეა. დარბაზის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო და ოფიციალურად 2016 წელს კრისტინა აგილერას კონცერტით გაიხსნა. უკანასკნელი წლების განმავლობაში საკონცერტო დარბაზმა საერთაშორისო მუსიკალური სცენის ვარსკვლავებს უმასპინძლა.

ამის პარალელურად „ბლექ სი არენა“ სცენას ადგილობრივი სახელოვნებო სივრცის წარმომადგენლებსაც აქტიურად უთმობს და ცდილობს ქართული კულტურული გარემოს განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. 30000 კვადრატულ მეტრზე გაშენებული მუსიკალური არენა 10 000-მდე სტუმარს იტევს და მისი ტექნიკური მონაცემები სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების წარმატებულად ჩატარების საშუალებას იძლევა. ამფითეატრის ტიპის ღია საკონცერტო დარბაზი საუკეთესო, მოძრავი მნათობი კედლებითა და მოძრავი სახურავითაა აღჭურვილი. მოძრავი სცენა 638 კვადრატული მეტრია და დარბაზის ნებისმიერი წერტილიდან სრულყოფილად ჩანს. დარბაზის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია მცირე ზომის კინოთაეტრი. 2020 წელს „ბლექ სი არენა“-ს უნიკლაური შენობა „გერმანული დიზაინის დაჯილდოების“ გამარჯვებული გახდა საუკეთესო თანამედროვე არქიტექტურის კატეგორიაში.

სასტუმრო „პარაგრაფი“

„პარაგრაფი“ რეზორტი სპა შეკვეთილი პირველი ხუთვარსკვლავიანი საერთაშორისო ბრენდის ავტოგრაფ ქლოქშენის სასტუმროა საქართველოში. სასტუმრო მდებარეობს მაგნიტური სამკურნალო ქვიშის სანაპიროსა და მრავალწლოვან ფიჭვნარს შორის. სასტუმრო ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს, უმაღლესი სტანდარტების შესაბამის მომსახურებას, კომფორტსა და საინტერესო თანამედროვე დიზაინს აერთიანებს. მშვიდი საოჯახო ტიპის დასვენების გარდა აქ ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საქმიანი თუ გასართობი შეხვედრებისა და ღონისძიებებისათვის შესაბამისი სივრცეებით. ამ უნიკალურ სასტუმროში ნახავთ რეგიონში ყველაზე დიდ აკვარიუმს ზღვის იშვიათი ბინადრებით. ზამთრის დახურული ბაღი ეგზოტიკური მცენარეებითა და ზღვაში შეჭრილი 115 მ. სიგრძის აუზით.



ციცინათელას პარკი

ციცინათელას ატრაქციონების პარკი 2006 წ. გაიხსნა და შეკვეთილის ტერიტორიის 14.5 ჰექტარზე არის განთავსებული. პარკში არსებული ატრაქციონები გათვლილია ყველა ასაკის ადამიანზე.

ციცინათელაში ფუნქციონირებს 36 გასართობი ატრაქციონი: 8 საბავშვო, 17 საოჯახო და 11 ექსტრემალური. აქვე მდებარეობს სათამაშო ავტომატების ერთი დარბაზი და საბავშვო ლაბირინთი – ბედნიერი ქალაქი. ასევე ბოულინგი.

დენდროლოგიური პარკი

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი თავისი მასშტაბით, მცენარეთა უნიკალური და მრავალფეროვანი კოლექციით გამორჩეულია არა მხოლოდ შავიზღვისპირეთში, არამედ მთელს რეგიონში.

დენდროლოგიური პარკი პირობითად ორ ნაწილად იყოფა:

18 ჰექტარზე გაშენდა საქართველოში მოძიებული ენდემური ჯიშის ხეები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაა გადმორგული.. კოლექცია 29 უნიკალური სახეობის 200-ზე მეტი გიგანტური ნიმუშისაგან შედგება.

დარჩენილ 42 ჰექტარზე კი მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან, წლების განმავლობაში შემოტანილი სხვადასხვა ეგზოტიკური სახეობის ათასწლოვანი მცენარეა წარმოდგენილი.

მცენარეთა უნიკალურ კოლექციასთან ერთად, პარკის ტერიტორიაზე მსოფლიოს ყველა კონტინენტის 58 სახეობის ფრინველი ბინადრობს, რომელთა უმეტესობა წითელ ნუსხაშია შეტანილი. დამთვალიერებელთათვის დაუვიწყარი სანახაობაა ეგზოტიკური ფრინველებით დასახლებული ტბა. შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გაიხსნა 2020 წლის 15 ივლისს.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

აფხაზეთი – ჩემი სანუკვარი ოცნებაა

ვლადიმერ ფიფიას ოჯახი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც 29 წლის წინ იძულებული გახდა საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა და თავის სამშობლოში დევნილი გამხდარიყო. დაიბადა და გაიზარდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აკვასკაში. ჰყავს მეუღლე სვეტლანა გულორდავა, ქალ-ვაჟი თეა და მამუკა. თეა დაოჯახებულია: მისი მეუღლეა გოჩა ქაჯაია –შვილები: ნატო და ლუკა. ნატო ფარმაცევტია და თბილისში მუშაობს, ლუკამ ინსტიტუტი დაამთავრა და წელს მაგისტრატურაზე ჩაირიცხა.

მამუკა მხატვარია, ჰყავს მეუღლე ანჟელა კაჭარავა, შვილი მარიამი წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის 11 კლასის მოსწავლეა.

ბატონი ვლადიმერი, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ძალიან მტკივნეულია იმ ავბედითი დღეების გახსენება, თითქმის ყოველდღე ჯერ შვილებს, ახლა კი შვილიშვილებს უყვება აფხაზეთზე და ამით უქმნის მათ წარმოდგენას მშობლიურ მხარეზე

,, 27 სექტემბერი არის უმძიმესი ტკივილის დღე. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ეს უმძიმესი ტრაგედიაა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ აფხაზებისთვისაც. ამ ომში, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და თითქმის 13 თვე გაგრძელდა, გამარჯვებული არ არსებობს და ეს ომი ტრაგედიაა ჩვენთვის ყველასთვის. ეს იყო ყველაზე მტკივნეული პერიოდი თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში. ურთიერთობა დაიძაბა იმ ხალხთანაც, ვისთანაც მთელი ცხოვრების მანძილზე მშვიდად და მეგობრულად ვცხოვრობდით. 300 ათასმა ქართველმა დატოვა სისხლით მორწყული აფხაზეთის მიწა, საკუთარი სახლ-კარი, დედაბუდიანად აიყარა და იძულებული გახდა უსაფრთხო ადგილას გახიზნულიყო. ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები გაიხიზნენ, ვისაც შეეძლო იარაღი აიღო ხელში. ცრემლი გვახრჩობდა, ფეხები უკან გვრჩებოდა, ერთმანეთს ვამშვიდებდით, რომ მალე უკან დავბრუნდებოდით. ვინც როგორ შეძლო, ისე დატოვა აფხაზეთი, ზოგმა ზღვით, ზოგმა ხმელეთით, ბევრმა კი კოდორის უღელტეხილის დათოვლილი გზით. მაშინ მთელი მსოფლიო შეძრა უღელტეხილზე ადამიანების კოლოსალურმა ნაკადმა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. მერე იყო 1993 წლის 27 ივლისის სამშვიდობო მოლაპარაკება, რომლის საფუძველზე აფხაზეთში დაბრუნდნენ დევნილები, ერთი შეხედვით ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, მუშაობას შეუდგნენ სკოლები, ბაღები, ინსტიტუტები, მაგრამ... 16 სექტემბერს აფხაზებმა, რუსული ჯარებისა და ჩრდილო კავკასიელი კაზაკების მხარდაჭერით ფართომასშტაბიანი იერიში მიიტანეს სოხუმზე და სამშვიდობო შეთანხმება დაარღვიეს.

უკვე 29 წელია სენაკში ვცხოვრობთ, აქ გულთბილად მიგვიღეს, კარგად შევეთვისეთ აქაურობას. ჩემი შვილები გაიზარდნენ, სწავლა-განათლება მიიღეს, დაოჯახდნენ, შვილიშვილები შეგვეძინა, მაგრამ... ამ ხნის განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, მე რომ აფხაზეთი არ გამხსენებოდა ან არ დამსიზმრებოდა.

გვენატრება ძალიან ჩვენი სოხუმი, ჩვენი მშობლიური აკვასკა, ზღვა, რომელიც ძალიან ახლოსაა და მაინც ძალიან შორია იქმდე. რამდენჯერ მინატრია ერთხელ მაინც შემახედა, როგორია იქაურობა. ჩემს შვილიშვილები, რომლებიც აქ დაიბადნენ და ერთხელაც არ ყოფილან აფხაზეთში,- ჩვენი ნაამბობიდან იქმნიან წარმოდგენას და არანაკლებ ჩვენზე უყვართ იქაურობა. ერთხელ ჩემმა შვილიშვილმა ნატომ (5 წლის იქნებოდა მაშინ) ტირილით გაიღვიძა, მიზეზი რომ ვკითხეთ, აკვასკა დამესიზმრაო.

29 წელია, ყოველ დილით ვიღვიძებ იმ იმედით, რომ აფხაზეთში მალე დავბრუნდებით, სადაც ქართველებმა და აფხაზებმა ყველამ ერთად უნდა ვიცხოვროთ მშვიდობიან, გაერთიანებულ საქართველოში. ეს ჩემი ოჯახის და ალბათ ყველა დევნილის და მჯერა თითოეული ქართველის სანუკვარი ოცნებაა.

მაია გერგაია

მეგრული პოეზიის საღამო

9 სექტემბერს, სენაკის ცენტრალური საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში, ჩატარდა მეგრული პოეზიის საღამო. საღამოს უძღვებოდა საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი ლუიზა კემულარია.

ღონისძიებას ადგილობრივი პოეტები, მწერლები და სხვა დაინტერესებული პირები დაესწრნენ. სტუმრის სტატუსით ღონისძიებაზე ბრძანდებოდა მეგრული პოეზიის და ფოლკლორის დიდ ქომაგი და თაყვანისმცემელი ბატონი თემურ ყურაშვილი, იგი სოხუმიდან გახლავთ დევნილი, ფესვებით მარტვილიდანაა.

მან შეკრებილებს მეგრულად მიმართა და სთხოვა, რომ ამ ენის დასაცავად ძალისხმევა არ დაიშურონ, უპირველესად, მეგრელებმა, თვლის რომ მეგრული ენა გაქრობის წინაშეა და მთავრობამ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ცვლილებები უნდა განახორციელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგები სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს, დასტურად აკადემიკოსი აკაკი შანიძის ნათქვამიც მოაყოლა. „სირცხვილი კი ის არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა“.

მეგრული პოეზიის საღამო ლექსებით და სიმღერებით გაალამაზეს საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებულმა „ტრიომ“ – ნაირა ფოფხაძის, ბიჭიკო თუნთიას, თემურ ცხაკაიას მონაწილეობით, ჩონგურის თანხლებით შეასრულეს მეგრული სიმღერები, როგორიცაა: „ვაგიორქომა“, „ასე ჩონგური ქოფთქუათი“, „დღაში დო სერი ართი მაფუ“, „ჩელა“, „სამარგალო ქარგილ ორე“, ასევე ანსამბლმა „ეგრისმა“ შეასრულა უძველესი მეგრული სიმღერები – „მახა“ „მეგრული ნანა“, „მიორს ფაცხა“, „ტანი შვერგელია გიღუ“, და სხვა.

დარბაზში მყოფი პოეტები, მწერლები და კულტურის დარგის მუშაკები რიგ-რიგობით კითხულობდნენ მეგრულ ენაზე შექმნილ ლექს-მარგალიტებს. აღმოჩნდა, რომ ბევრი მართლაც ნიჭიერი ადამიანია და პოეტია. აი ეს პიროვნებები: ნაირა ფოფხაძე, 3 რუბენ განგავა, თენგო თოფურიძე, ჯაბა ჭანტურია, მზია ბარქაია, ნინო გვასალია, დიმა ქარჩავა, ამირან კაცია, ბორის დავითაია, დამირ კუჭავა, თამაზ ფირცხალავა (ექიმი), თამაზ ეჯიბია.

მეგრული ენა კოლხური ენის მემკვიდრეა, ეს უძველესი ღვთაებრივი ენაა. ამ ენაზე მეტყველებდნენ აიეტი და მედეა და არა ის, რომ ზოგიერთი ვაიჭკუათმყოფელი ქართველი კუთხურ ენას რომ უწოდებს.

მეგრული ენა წარღვნამდელი ენაა. კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება (კ. შელია) კოლხებს უძველეს დროში დამწერლობა ჰქონიათ. მსოფლიოს არცერთ ენათმეცნიერს საკამათოდ არ მიაჩნია, რომ მეგრული არის მსოფლიოს უძველესი პირველი ენა, ამას იმოწმებენ ჰეროდოტე და სხვა ბრძენი სწავლულები. კოლხებს დამწერლობა, რომ ჰქონდათ მტკიცდება იქედანაც, რომ მეგრულ ენაში, მეგრული ენის ბგერა სიტყვები და ყველა თანხმოვანი ბგერა წარმოადგენს ერთ ან რამდენიმე სიტყვას, ხოლო ხმოვნები უმრავლეს შემთხვევაში შეკვეცილი თანხმოვნებია.

ძველი კოლხეთის შესახებ წერილობით წყაროები შემოუნახეს ისტორიას ჰომეროსმა, ჰეროდოტემ, ჰეკატეოს მილეტელმა, ქსენოფონტემ, აპოლონიოს როდოსელმა, სტრაბონმა, დიოდორე სიცილიელმა, არიანემ, მიმნევრემ და სხვებმა.

რაც შეეხება პოეზიის საღამოს რამდენიმე საათს გასტანა, ამ სასიამოვნო დღის დასრულება არავის უნდოდა.

უფალი ფარავდეს სამეგრელოს და სრულიად საქართველოს!

ბიჭიკო თუნთია

ხსოვნა

ვალერიან პაჭკორია

გონიერების, წიგნიერების და ცხოვრებისეული გამოცდილების საუკეთესო მაგალითს აძლევდა ოჯახს, ახლობელთა წრეს ვალერიან პაჭკორია.

მისი ტრადიციული ქართული ოჯახი ერთგვარ „იმედის კუნძულად“ ეგულებოდა თანადგომის საძიებლად მოსულ მოკეთე-მოყვარეს. ვალერიან პაჭკორია ცდილობდა დარდი შეემსუბუქებინა, ვაჟკაცური სიტყვებით გაემხნევებინა, პრობლემები დაევიწყებინა ახლობლებისათვის.

დისციპლინირებული, ტაქტიანი პიროვნება ზომიერ სიმკაცრეს იჩენდა როგორც შვილებთან, ასევე მოსწავლეებთან. ცდილობდა ღირსეული ყოფილიყვნენ, ებრძოლათ ეშრომათ, ერთმანეთი ჰყვარებოდათ და განევრცოთ ოჯახის ტრადიციები.

სენაკის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, ამავე სკოლის ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი, ნატოჩაოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მოგვიანებით კერძო სკოლა „ალბიონის“ დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. კარგად იცნობდა საგანმანათლებლო და განმავითარებელ პროგრამებს. ღრმად იხედებოდა თითოეული მოსწავლის სულში, მათ სწავლება-აღზრდას წარმართავდა ინდივიდულაური თავისებურებებისა და ინტერესების სპექტრის გათვალისწინებით.

დამწყები პედაგოგები გამოცდილი ლიდერისგან სწავლობდენ ინოვაციურ მეთოდებს, სასწავლო პროცესის მართვის ხელოვნებას.

მტკივნეულია ვალერიან პაჭკორიას გარდაცვალება მეუღლე ინეზასათვის. შვილები ირმა და ცირა იგონებენ მამის გულმოწყალებას, მის ბრძნულ რჩევა-დარიგებას - მთელი ცხოვრება სულის საგზლად რომ დაუტოვა შთამომავლებს.

ის მუხანათი სიკვდილი რომ არა, ენერგიულ, დისციპლინირებულ, ოჯახზე გადაგებულ კაცს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ახლობლებისათვის. ორი შვილის მამა და სამი შვილიშვილის ბაბუა იმიერ საუფლოდანაც დარაჯად უდგას ოჯახს.

ახლობლები არ ივიწყებენ ღირსეულ ადამიანს, ყოველ დაბადების დღეზე ესათუთებიან და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

ვალერიან პაჭკორიამ ოჯახს დაუტოვა დიდი სიყვარული, საზოგადოებას კარგი კაცის სახელი და ერთ პატარა წიგნად აკინძული სულის ქურაში ნაწრთობი ლექსები, ჩანახატები, ბრძნული შეგონებები.

ოჯახი

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბალთური

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499